სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

2016 წლის მესამე კვარტლის

ანგარიში

2016 წლის მესამე კვარტალში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა სამი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სულ გადამზადდა 163 მსმენელი. აქედან, 56 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 107 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

163 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 105 ქალი და 58 მამაკაცი.

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

35 წლამდე - 81 მსმენელი; 50 წლამდე - 66 მსმენელი; 65 წლამდე - 16 მსმენელი.

2016 წელს, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სერტიფიკატის სამი კატეგორია. მათ შორის:

„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – **15 სმენელი;**

„კარგად ჩააბარა ტესტირება“ – **101 მსმენელი;**

„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – **46 მსმენელი;**

ვერ გადალახა ზღვარი - **0 მსმენელი;**

ავადმყოფობის გამო **1 მსმენელი** ვერ გამოცხადდა პოსტ ტესტირებაზე.

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (163 -დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 161 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:

ძალიან კარგი - **135 მსმენელი; 84 %**

კარგი - **26 მსმენელი; 16 %**

არადამაკმაყოფილებელი - **0 %**

2. მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:

ძალიან წარმატებული - **71 მსმენელი; 44 %**

წარმატებული - **90 მსმენელი; 56 %**

წარუმატებელი - **0;**

3. მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:

ნორმალური - **119 მსმენელი. 74 %**

ხანგრძლივი - **1 მსმენელი; 1 %**

ხანმოკლე - **41 მსმენელი; 25 %**

4. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:

აუცილებელია - **106 მსმენელი. 66 %**

საჭიროა - **52 მსმენელი; 32 %**

არ არის საჭირო - **3 მსმენელი; 2 %**

5. ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - **115 მსმენელი; 71 %**

კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - **43 მსმენელი; 27 %**

არაკვალიფიციურად არის შედგენილი - **3 მსმენელი; 2 %**

დღემდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადებულია 1252 შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: 501 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 751 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია